სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 22 0000870470

03/08/2022

სივრცულ კონცეპტუალური კომპოზიციის შექმნის მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სივრცულ კონცეპტუალური კომპოზიციის „წარსული, აწმყო, მომავალი“ შექმნის მიზნით გამოცხადდეს ღია საერთაშორისო კონკურსი.
2. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და განცხადება დანართის შესაბამისად.
3. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი
გურგენიძე დავით